

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა არსებითად აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს (და მისი მსგავსი საქართველოში სულ რამდენიმეა), რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასელდგმულებდა, ამყარებდა და აღაშენებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, მის კულტურას და ეროვნულ თვითშეგნებას. ასეთებად გვესახებიან ყველა ის დიდი ქართველი მოღვაწენი და სულიერი მამანი, რომლებიც სამშობის, კრებულების სახით აყალიბებდნენ კერებს და იღვწოდნენ, იღვწოდნენ და იწვოდნენ, რათა ენათათ.

შესაძლოა ამ სკოლის ასეთ კონტექსტში მოხსენიება გეხამუშოთ, მაგრამ არა. ყოველ ეპოქას თავისი მოთხოვნილებები და მათი განხორციელების გზები აქვს და ეძლევა. თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა სწორედ თანამედროვე საქართველოს თანამედროვედ, ჯანსაღად აღშენების გზა-სავალთა ძიებაშია, როცა ჩვენს საზოგადოებაში ნერგავს რწმენას იმისას, რომ თვითოეული ჩვენგანის გარდაქმნით, გარდაიქმნება სახელმწიფოც.

**ოქტაი ქაზუმოვი**  
**თებერვალი, 2011**